

### ვახტანგ მეექვსის შემოქმედებითი პროფილი

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი.** შუა საუკუნეების წარსულიდან გამორჩევით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მეფე-პოეტი, მეფე-მეცნიერი და მკვლევარი, განათლების რეფორმატორი, რომელთაგან უცილობელ პატივს ვახტანგ მეექვსეც იმსახურებს.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა მისი ნაღვაწი და თვალსაწიერიც. ვახტანგის გონიერება წვდებოდა მეცნიერების სრულიად განცხვავებულ დარგებს, როგორცაა ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, ასტრონომია-ასტროლოგია, ქიმია, მედიცინა, გრამატიკა, ტექსტოლოგია, პედაგოგიკა. აღარას ვამბობთ მწერლობაზე, სადაც ღირსეული სიტყვა თქვა და გარკვეული თვითმყოფადობითაც გამოირჩა.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა ვახტანგი მაინც ახერხებდა ქვეყანაში შეექმნა აღმავალი კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოში 1709 წელს დაარსდა პირველი სტამბა. ბეჭდური სიტყვის აღორძინებით მწერლობას სასიცოცხლო სივრცე გაეხსნა, აზროვნებას მეტი გასაქანი მიეცა.

ბეჭდური „ვეფხისტყაოსნით“ საფუძველი ჩაეყარა პოემის ტექსტის მეცნიერულად შესწავლა -აღდგენის საქმეს, დასაბამი მიეცა უმნიშვნელოვანეს დარგს-რუსთველოლოგია.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურას ახასიათებს მთელი რიგი სიახლეები და ეს სიახლეები ვახტანგ მეექვსის სახელთანაც ასოცირდება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ყველანაირად უწყობდა ხელს მეცნიერების ახალი დარგების განვითარებას, ლიტერატურაში ახალი თემებისა და ჟანრების შემოტანას. ეროვნული პრობლემათიკის გააზრება, მისი დამკვიდრების მცდელობა და სულიერ მოთხოვნილებად ქცევა ვახტანგის შემოქმედების ნიშაა.

ცხოვრებისაგან დაღლილი მეფის ერთადერთი სულიერი თავშესაფარი ქრისტიანული რწმენა იყო. „რელიგიური თემატიკის დამუშავება, ღვთისადმი ღაღადისი, გარდა იმისა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა,

ამავე დროს ის ხელს უწყობდა ხალხში ქრისტიანობის იდეების პრპოპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას.

ვახტანგმ მეექვსემ ქართული მწერლობა არა მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოებებით გაამდიდრა, მთარგმნელობითი საქმიანობითაც დიდად შეუწყო ხელი მის წინსვლას. დიდი იყო მისი როლი ლექსიკოგრაფიის განვითარებაშიც.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწზე მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება. ბევრს ნიშნავს ისიც, რომ ისტორიას შემორჩა „სჯულმდებელი“ მეფის სახელით.

**საკვანძო სიტყვებია:** მეფე, რუსთველოლოგი, ვახტანგ მეექვსე, ქრისტიანული თემატიკა, კანონმდებელი.

ქართველი ერისათვის მწერლობა იყო დაუშრეტელი ენერჯის, სულიერი სიძლიერის, ზნეობრივი გაჯანსაღების უშრეტი წყარო. ამას ყოველთვის აცნობიერებდა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც რიგ შემთხვევაში იყო კიდეც ერის მედროშე, „უგვირგვინო მეფედ“ მიჩნეული, ან „ქვეყნის მამად“ წოდებული. ძნელად დავასახელებთ ქვეყანას, რომლის სათავეშიც არაერთგზის ყოფილა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ლიდერი. საქართველო ამითაც ნიშანდებული ქვეყანაა. შუა საუკუნეების წარსულიდან გამორჩევით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მეფე-პოეტი, მეფე-მეცნიერი და მკვლევარი, განათლების რეფორმატორი, რომელთაგან უცილობელ პატივს ვახტანგ მეექვსეც იმსახურებს.

რთული იყო მეფე ვახტანგის პოლიტიკური გზა- ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) -1703 -დან 1014 -მდე, მეფე- 1716-დან 1724 წლამდე. ეს პერიოდი მისი ცხოვრებისა და ქვეყნის აღმავალ-დაღმავალ წლებს ითვლის. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა მისი ნაღვაწი და თვალსაწიერიც. ვახტანგის გონიერება სწვდებოდა მეცნიერების სრულიად განცხვავებულ დარგებს, როგორცაა ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, ასტრონომია-ასტროლოგია, ქიმია, მედიცინა, გრამატიკა, ტექსტოლოგია, პედაგოგია. აღარას ვამბობთ მწერლობაზე, სადაც ღირსეული სიტყვა თქვა და გარკვეული თვითმყოფადობითაც გამოირჩა.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწის მიმოხილვა, თუნდაც ზოგადად, თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე რთულია. ამიტომ, ნათელი რომ გახდეს მისი შემოქმედებითი პორტრეტის გააზრება, შევეცდებით უმნიშვნელო კონტურებით გამოვკვეთოთ რიგი საკითხი.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ვახტანგი მაინც ახერხებდა ქვეყანაში შეექმნა აღმავალი კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოში 1709 წელს დაარსდა პირველი სტამბა. ბეჭდური სიტყვის აღორძინებით მწერლობას სასიცოცხლო სივრცე გაეხსნა, აზროვნებას მეტი გასაქანი მიეცა. როგორც ცნობილია, 1709-1712 წლებში აქ დაიბეჭდა „14 წიგნი, რომელთაგან 11 სასულიერო ხასიათისა იყო, 2-სასწავლო-სახელმძღვანელო, ხოლო ერთიც-„ვეფხისტყაოსანი“. სასულიერო წიგნების დასაბეჭდად მომზადებას მძიმე სამუშაოები უძლოდა წინ. ხდებოდა სასულიერო წიგნების შეჯერება უცხო და

ქართულ დედნებთან. ჩამოყალიბდა მთელი დასი, რომელიც ამ მნიშვნელოვან სამუშაოებს ატარებდა(ნარკვევები, 1973: 501). ასევე დიდი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები იყო დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან. „ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ყველა ეს ხელნაწერი და ფრაგმენტი აღწერილია სარგის ცაიშვილის მიერ. სამწუხაროდ, ავტოგრაფიულ ხელნაწერებზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი ჩანს. ეს ხელნაწერები საუკუნეებით არის დაშორებული პოემის შეთხზვის ხანას, რამაც განაპირობა მათი წარყვანა დროთა მანძილზე. ამიტომაც რუსთველოლოგიაში დღემდე პრობლემად რჩება მათი გაცხრილვა და დედანთან მიახლოებული ტექსტის დადგენა. ტექსტის კრიტიკული განჩხრეკა და დადგენა პირველად ვახტანგ მეექვსემ სცადა (მოსია ტ., 2016:5).

ბექდური „ვეფხისტყაოსნით“ საფუძველი ჩაეყარა პოემის ტექსტის მეცნიერულად შესწავლა -აღდგენის საქმეს, დასაბამი მიეცა უმნიშვნელოვანეს დარგს-რუსთველოლოგიას. ვახტანგისეულმა კომენტარებმა ასევე განაპირობა ქართული სალიტერატურო კრიტიკის საფუძვლებში პირველად გაჟღერებულმა და დასაბუთებულმა მსჯელობამ შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. შეეხო რა პოემის იდეოლოგიის საკითხებს, ამით ვახტანგი შეეცადა ავტორი დაეცვა მკილავთაგან, წიგნი -შემრისხველთაგან. სამწუხაროდ , დღემდე შემორჩა არაერთი ძნელად მოსასმენი და გასაზიარებელი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. „იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელთაგან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“- ამ სიტყვებით ჩაიწერა რუსთველოლოგიის ისტორიაში მთავარეპიკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი; არც ანტონ კათალიკოსის თქმულის: „ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესეო“- დავიწყება არ ხერხდება მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ მაღალი შეფასება მისცა რუსთაველს, როგორც „ღმრთის-მეტყველების“ ნიჭით დაჯილდოებულს. მითი ანტონის რუსთველმომძულეობის შესახებ უფრო „ვეფხისტყაოსნის“ დევნის ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს, ფაქტს, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასება და სადავო რწმუნებულება უდევს საფუძვლად. მაგალითად, კალისტრატე ცინცაძე უტყუარ წყაროდ თვლის, რომ ანტონ კათალიკოსმა ჯერ „აღუკრძალა ქართველთა კითხვა „ვეფხისტყაოსნის“, ხოლო როდესაც ამ საშუალებამ ვერ გაჭრა, მიმართა ადმინისტრაციულ ზომებს, „მრავალნი დაბეჭდილნი „ვეფხისტყაოსანნი“ დასწვა და შთააყრევინა მტკვარში“ (ცინცაძე კ., 1966:6). აღნიშნულის უეჭველობის დასტურად კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს მეფე გიორგი მეცამეტეს: „ბატონი კათალიკოზი, არა ჩემგან (ბიძად მოხვდებოდა) საკიცხველი, შეიქმნა მართლად საძრახისად მწერალთაგან: მან ერთ დღეს შთააყრევინა მტკვარსა 80 დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანნი...“(ცინცაძე კ., 1966:7). აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მითუმეტეს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში გამოკვეთილად განსხვავებული აზრიც მუსირებს. ჩვენთვის უფრო მისაღები და გასაზიარებელია კორნელი კეკელიძის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ეფრემ მეორის, ზვიად გამსახურდიას მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა, ტიმოთე გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის უდანაშაულობის შესახებ...

რუსთველოლოგებმა და ამ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევრებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ შემდეგ გარემოებებს: ტიმოთე გაბაშვილის შეფასება, „მთქმელი ლექსთა ბოროტთა...“ „მიმოსვლის“ თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილა და 1956 წლის გამოცემის ძირითად ტექსტშიც არაა შეტანილი, ეს სტრიქონები შემდეგ ყოფილა მიწერილი ტიმოთეს ხელნაწერის კიდეზე (იხ. „მიმოსვლა“ 1956 წ. გვ. 046-054) ახალ გამოცემაში კი მოთავსებულია სქოლიოში“( ეფრემი, 2017: 4). კლელიკალური წრეების მიერ რუსთაველის „ვეხისტყაოსნის“ დევნის და ანტონის დამოკიდებულების დასტურად არც „წყობილსიტყვაობაში“ წარმოდგენილი იამბიკოს ბოლო სტრიქონი ივარგებს მხოლოდ. ობიექტურობისთვის საჭიროა სრული ტექსტის გააზრება:

შოთა ბრძენ-იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,  
ვილოსოფოსი, მეტყუწლი სპარსთა ენის.  
თუ-სამ ჰსწადოდა, ღვთის-მეტყუწლიცა მაღალ,  
უცხო-საკვრუწლ პიტიკო-მესტიხე,  
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხარ-არს ესე (ანტონ ბაგრატიონი., 1972:188).

ანტონის მიმამე ბრალდების მისაღებად ანგარიშგასაწევი ნამდვილად არ უნდა იყოს არც ქართველთმომუღე , რიგით IV რუსი ეგზარქოსის -ევეგენის ცნობა, არც პლატონ იოსელიანის მიერ სხვისგან „უხეიროდ“ ნასესხები „ბრალდება“ და არც ზაქარია ჭიჭინაძის მიერ წყაროს გარეშე მოტანილი ცნობა. ვფიქრობთ, ამ საკითხს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი, უნდა დასრულდეს ლეგენდა ანტონის მიერ რუსთაველის დევნისა, ყველასთვის ნათელი უნდა გახდეს, „თუ რაგვარ მიმართებაში იყო რუსთაველთან ანტონ I, ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების კორიფე XVIII საუკუნეში, ოფიციაური საეკლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელი, თავად ძე იესე მეფისა, დავითიან-ბაგრატოვანი , ერეკლე მეფის მამიდაშვილი, (ხოლო სულიერად ძმა მეფისა) „ (გამსახურდია ზ., 1991:49).

მეფე -რუსთველოლოგი ცდილობდა მტკიცებას იმისას, რომ პოემა „საღმთოც იყო და საეროც.“ ასევე, ლამობდა აეხსნა და დაესაბუთებინა „ვეხისტყაოსნის“ ქრისტიანული ბუნება. აკი ამიტომაც მოუძებნა გმირთა სიყვარულს რელიგიური გააზრება. განსწავლულმა მეფემ პოემის წინააღმდეგ ყველა მტრულად აბორგებული აზრის შესახებ უწყოდა და ცდილობდა თითოეულის განეიტრალებას. ეს ეხებოდა, რა თქმა უნდა, სიუჟეტის წარმომავლობას, მისი ორიგინალობის საკითხს, მტკიცებას იმისას, „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოებაო“.

სადღეისოდ შეიძლება მეფე-რუსთველოლოგის თვალსაზრისთა გარკვეული ნაწილი მოძველებულია, მიუღებელიც, მაგრამ იმ დროისთვის იყო სრულიად ახალი სიტყვა, პროგრესულად გააზრებული და არგუმენტირებული. ვახტანგის კომენტარებმა შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია რუსთველოლოგიური ნააზრევის ჩამოყალიბებასა და, ზოგადად, ქართული მწერლობის განვითარებაზე.

უბედობა დაჰყვა ვახტანგის პოლიტიკურ საქმიანობას და ბოლოც ტრაგიკული ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით მის შემოქმედებაზე. მას ვერ დავადანაშაულებთ, რომ „პოლიტიკაში პოეტობდა და პოეზიაში პოლიტიკოსობდა“, როგორც ერთი ჩვენი მეფე, დიდი მგოსნის თვალთ დანახული და შეფასებული. არა, ვახტანგმა პოლიტიკაშიც

იმაზე მეტი აკეთა რის საშუალებასაც ვითარება აძლევდა და მეცნიერულ-შემოქმედებითი კუთხითაც ერთ კაცზე მეტი მოიმუშავა. ვახტანგს საწუხარადაც კი ჰქონდა ზედმეტი მოცალეობა ლიტერატურისთვის, შემოქმედებისთვის. ესეც მისი და მისი ქვეყნის ტრაგიკული ბედის გამოისობით იყო.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურას ახასიათებს მთელი რიგი სიახლე, რაც ვახტანგ მეექვსის სახელთანაც ასოცირდება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ყველანაირად უწყობდა ხელს მეცნიერების ახალი დარგების განვითარებას, ლიტერატურაში ახალი თემებისა და ჟანრების შემოტანას. ეროვნული პრობლემატიკის გააზრება, მისი დამკვიდრების მცდელობა და სულიერ მოთხოვნილებად ქცევა ვახტანგის შემოქმედების ნიშაა. საკუთარი ნაღვაწით ცდილობდა მწერლობაში იმხანად გავრცობილი აზრის- „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ (თეიმურაზი); „სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბედობით, საშაიროს ინახავდნენ სტავრის ბუდით ან ნახლობით“ (არჩილი)-განქარვებას, გადაფარვას.

ძნელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ვახტანგ მეფის ცხოვრების ისტორია, სავსე მწუხარე თავგადასავლები, დიდი ტრაგიზმის შემცველი ფურცლები მისი შემოქმედებისგან. დაქვეული ქვეყნის ხატია მეფე-პოეტის პოლიტიკური ცხოვრება, ხოლო მისი მეცნიერული და პოეტური ნაღვაწი იმავე ქვეყნის გაუტეხელი სულის, ბუნების სიმბოლო.

შუა საუკუნეების ქართული მწერლობისათვის უმნიშვნელოვანესი თემაა „ამაობება ამოთა“. წუთისოფლის სიმუხთლისა და ამაობის მოტივს ვერც ვახტანგ მეექვსემ აუარა გვერდი. ეს თემა გაშლილია ვრცელ პოეტურ თხზულებაში „სალბუნად გულისა“, ლირიკული ხასიათის ლექსებში „ვაი, სიკვდილო,“ „რანი და მოვაკანი,“ „ლექსი-ამბავი“; ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სატრფიალონში,“ „სიბრძნე მალაღობელში.“ ეს ჩამონათვალი უსარულოდ შეიძლება გაგრძელდეს გამოკვეთილ თემატურ ლექსებს თუ დავამატებთ სხვადასხვა ნაწარმოებებში გაბნეულ და ამოკითხულ სტრიქონებს.

ვახტანგის შემოქმედების შედეგად მიიჩნევა იშვიათი სიტყვიერი ოსტატობით, მუსიკალური ჟღერადობით, ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ლექსი „რანი და მოვაკანი.“

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და,  
გათავდა ყოვლი წერილი-ანი და, ბანი, განი და...  
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი და,  
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი და...  
ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მივეც იქი რჯანი და,  
ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და! (1990:5)

ვახტანგის ლირიკას ახასიათებს აზრის დაწურულად გადმოცემა, სათქმელის სიტყვიერი ლაკონიზმით გავრცობა. ამის დასტური გახლავთ ეს ლექსიც - ბგერწერითი სურათი ავტორის სულიერი მღელვარებისა.

XVIII საუკუნის ქართული ლექსის რეფორმატორებთან ერთად მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის ღვაწლიც. მის სახელს გარკვეულწილად უკავშირდება

ვერსიფიკაციული სიახლეები. ეს განსაკუთრებით ეხება ქართული ლექსის სტროფიკას. საგულისხმოა, თუნდაც ზემოთ მოხმობილი ლექსი „რანი და მოვაკანი,“ რომელიც 6- ტაეპედის ფორმითაა წარმოდგენილი. „ლექსი რუსთველური დაბალი შაირის (53/53) მეტრითაა აგებული, 6 ტაეპს ექვსჯერადი რითმა აერთიანებს ამდენგზისვე „და“ დაბოლოებითა და შიდარიითმებით. ვახტანგ მეექვსეს ამ ლირიკული შედევრისათვის ასეთი მინაწერი დაურთავს: „ერთი ლექსის ხმა ესეც არის...“ ეს მინაწერი იმის ნათელი დასტურია, რომ სტროფიკის გარდა, ვახტანგისთვის დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გართიმვის კომბინაცია (ამ შემთხვევაში ექვსჯერადი რითმა მუდმივი „და“ დაბოლოებით!), როგორც ლექსის საზომის (ხმის) შემქმნელი“ (ზარბაქაძე თ., 2016:214).

პოეტის მუხთალი ბედის დატირებად აღიქმება კიდევ ერთი საუკეთესო ლექსი „ვაი, სიკვდილო.“ ამ ლირიკულ ქმნილებაში ადვილად იკითხება სტრიქონთა მუხლებს შორის ჩაღვრილი ვნებათაღელვა, დაჭრილი, დაკოდილი მღელვრება სულისა. წუთისოფლის ქარიშხლით დაღლილს სიცოცხლეს ემწარება. სიკეთისთვის , სამშობლოსთვის დამაშვრალმა სიცოცხლის ბოლო წლები უცხო მიწაზე გაატარა და იქვე აღესრულა ამაო მოლოდინით დაღლილი.

მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ღაფლად, ვაი...  
მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი...  
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი...  
მეგობარს, სულთა, საყვარელთ ტკბილთა, ვაი...  
მომკალ, მომკვეთე სოფლის მოკვეთე, ვაი...  
სხვაგან გამგზავნე, დამხვდნენ მე მავნე, ვაი...  
რად ენდევ სოფელს, ანასდის მყოფელს? ვაი... (1990:6)

ლექსის ქსოვილში მცირე რწმენის სხივიც კი არ კიაფობს. ლექსი ისეთ შეგრძნებას ბადებს, თითქოს უკუნი წყვილიადიდან იმზირება სვეგამწარებული პოეტი. ყოფითი დეტალებით, ბიოგრაფიული რეალიებით გაჯერებული სტრიქონები კიდევ უფრო ამძაფრებს ავტორის განცდებს.

უიღბლობით მოგვრილი მეღანქოლია და მუხთალი სოფლის მღურვა გასდევს „ლექს-ამბავსაც.“ დავით გურამიშვილის მსგავსად , არც ვახტანგისთვის აღმოჩნდა უცხო საწუთროს ორგემავობა და გაუტანლობა. იმდენად გაშინაურებია პოეტს უიღბლობა , რომ შემგუებლური ირონიითაც კი ეხმიანება საკუთარ თავს:

სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო!  
აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოდ მჩანს, ვახტან მეფეო! (1990:8)

ცხოვრებისაგან დაღლილი მეფის ერთადერთი სულიერი თავშესაფარი ქრისტიანული რწმენა იყო. „რელიგიური თემატიკის დამუშავება, ღვთისადმი ღაღადისი, გარდა იმისა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა, ამავე დროს ის ხელს უწყობდა ხალხში ქრისტიანობის იდეების პრპოპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას“ (1990:595). მტერმა კარგად იცოდა ვახტანგ მეფის ძლიერი მხარე, მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოზიციის გავლენა ერის

სიჯანსაღეზე. ამიტომაც მოიძულა მომხდურმა. მაჰმადიანთა ძალმოსილების პირობებში ბოლომდე ვერ იდავითა ვახტანგმა. შეეძლო კი რომ არა სპარსულ პოლიტიკას მინდობილ დიდებულთა უგუნურ-მოღალატური ქმედებები. ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშე მეფეებს ვერ ჰგუობდა სპარსეთი. ასეთებს ირანოფილობით გამორჩეული მეფეებით ანაცვლებდა მუდამ. ასე იყო, გიორგი XI-ს ერეკლე-I (ნაზარალი-ხანი) ჩაენაცვლა, ვახტანგს-იესე ალი ყული-ხანი...

რელიგიური თემატიკიდან გამოვარჩევთ ორ ლექსს „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა „ და „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა.“

ლექსი „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“ ქრისტეს ერთგვარი მონოლოგია, სადაც ნათლად გამოსჭვივის კაცთა მოდგმის უმადურობა მისთვის ჯვარცმულის მიმართ:

მე შევამკე ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი,  
აბრამს უხმე საყვარელად, ძედ აღვიქვამთ თემთა მზღვარი,  
გავამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,  
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს სიკვდად ჯვარი. (1990:6)

მეოთხე ტაეპი „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა ...“ უცვლელად იგულისხმება ყოველი სტროფის ბოლოს. ეს მხატვრული ხერხი უფრო მეტ ექსპრესიულობას სძენს სათქმელს, მოდუნების საშუალებას არ აძლევს მკითხველის სმენა-გონებას.

მონოლოგში აქცენტირებულია ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიპეტიები:

ხორცი ვისხენ ქალწულთაგან, ვიქმენ მათი შენამყვარი,  
ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი მათი ვარი,  
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინებ მათი მკვდარი,  
ნაცვლად...(1990:6)

ძალიან ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში კეთდება პარალელები ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებით კავშირებზე. აღნიშნული ლექსის წაკითხვისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს გურამიშვილის საგალობელი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ და მისი განუმეორებელი , დატირების ინტონაციის შემცველი რეფრენი: „ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!“

ქრისტეს ჯვარცმის თემა მეორდება ლექსში „ვაი, რა მწარე იწოდა ნაწლავნი მარიამისა.“ აქ ადამიანთა უმადურობის ხარისი ღვთისმშობლის დედობრივი განცდის სიმძაფრით იზომება. ავტორი მინიმალური მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების საშუალებით ქმნის ტანჯული ღვთისმშობლის ფერწერულ სახეს:

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,  
მღვდელთმოდვრისასა მივიდნენ გასატანჯველად , ვა, მისა,  
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამ-და-წამისა,  
ვაი, რამწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა! (1990:6)

ამ ლექსის რეფრენიც თავისთავად გვახსენებს გურამიშვილს. „ „ღვთისმშობლის ტირილში“ დავითს განმეორებული აქვს ვახტანგის სპეციფიკური გამოთქმა: „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა“ (შდრ. „ჩემნი იწვიან ნაწლავნიო“), (კეკელიძე კ.,

ბარამიძე ა., 1987:392).

უაღრესად ფაქიზი და შტამბეჭდავია ვახტანგ მეექვსის რელიგიური ნაწარმოებები. მათ აქვთ უდიდესი ზემოქმედების ძალა და ეს ძალა უპირველესად მოდის ავტორის სულიერი სისუფთავიდან, შინაგანი რწმენიდან, ამაღლებული, ღრმა ქრისტიანული განცდებიდან.

ვახტანგ მეექვსემ ქართული მწერლობა არა მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოებებით გაამდიდრა, არამედ მთარგმნელობითი საქმიანობითაც დიდად შეუწყო ხელი მის წინსვლას. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც „ამირნასარიანი“, „ქილილა და დამანა“, რომელიც შემდეგ „გასაჩაღხად“ სულხან-საბა ორბელიანს მიანდო.

დიდი იყო მეფე ვახტანგის როლი ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. როგორც ვიცით, მან „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემას კომენტარებთან („თარგმანებასთან“) ერთად ლექსიკონიც დაურთა. მნიშვნელოვანი წილი აქვს სულხან-საბას „სიტყვის კონის“ სრულქმნაშიც.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწზე მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ბოლოს გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ მას, როგორც „სჯულმდებელ“ მეფეს. ვახტანგის ინიციატივით 1704-1708 წწ. სპეციალურად შეაგროვეს სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამები, ანუ სასამართლო გადაწყვეტილებების, გარიგებისა თუ განჩინების წიგნები. კანონმდებელმა მეფემ ყოველივე სისტემურად დააღაგა, შეავსო საკუთარი დებულებებით და შექმნა სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის უმნიშვნელოვანესი წიგნი, რომელიც „დასტურლამალად“ იწოდება.

კანონთა კრებული „შეიცავს შესავალსა და შვიდ საკანონმდებლო ძეგლს: 1. სამართალი მოსესი, 2. სამართალი ბერძნული, 3 სამართალი სომხური, 4. სამართალი კათალიკოსთა, 5. სამართალი მეფის გიორგისა, 6. სამართალი აღბუღასი, 7. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (საქართველოს ისტორია, 1979:347).

კანონთა კრებულის სტრუქტურა თვალსაჩინოს ხდის კანონმდებელი მეფის მცდელობას სამართლიანი ქვეყნის შენებისა. მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ კოლუმბი რომ შუა ზღვაში ამერიკას დაემებდა, მაშინ ქართლში ვახტანგ მეფე კანონების კოდექსს წერდა.“ მუხრანის ეს სიტყვები მხოლოდ ეროვნული სიამაყის გამოხატულება არ არის, ეს გახლავთ სრულყოფილი რეზუმე ღირსეული მეფის ნაღვაწისა.

#### ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ა. (1972): წყობილსიტყვაობა, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
2. ბარბაქაძე თ. (2016): ქართველ მეფეთა პოეზია და ვერსიფიკაციული ფორმების მრავალფეროვნება. წიგნში: ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ქრილში, I. გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
3. გამსახურდია ზ. (1991): წერილები ესეები, გამომცემლობა „ხელოვნება“. თბილისი.



4. ეფრემ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი (2017): სიტყვა შოთა რუსთაველის წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (წაკითხულ იქნა 1966 წლის ოქტომბერს), გამომცემლობა „წიგნის სავანე“. თბილისი.
5. ცინცაძე კ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1966): ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისთვის, თბილისი.
6. მოსია ტ.(2016): წერილები ვეფხისტყაოსანზე, გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
7. საქართველოს ისტორია. (1979): ლექსიკონი, I. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4 (1973): საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 90-იან წლამდე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

## **Fictive Protrait of the King Vakhtang VI**

**Giorgadze Nino**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Abstract**

From the medieval past we can single out several kings-poets, kings-scientists and scholars, education reformers, of whom Vakhtang VI deserves great respect.

Versatile and varied turned out to be his genius and spectacle as well. King Vakhtang's intellect was accessible to completely different fields of science, such as history, jurisprudence, philosophy, astronomy-astrology, chemistry, medicine, grammar, textology, pedagogy. Not to mention the writing, where he said a decent word.

Despite the difficult political situation, King Vakhtang VI still managed to create a prosperous cultural and educational environment in the country. With his initiative and support, the first printing house was established in Georgia in 1709. With the revival of the printed word, writing opened up vital space, giving more thought to thinking.

By printing "The Knight in the Panther's Skin" the foundation was laid for the scientific study of the text of the poem - the work of restoration, the foundation was given to the most important field - Rustvelology.

The literature of the Renaissance period is characterized by a number of novelties associated to the name of the King Vakhtang VI. The King, endowed with creative talent, contributed in every way to the development of new fields of science, the introduction of new themes and genres in literature. Understanding the national problem, trying to establish it and turning it into a spiritual need is the niche of Vakhtang's creativity.

The only spiritual refuge of the king tired of life was the Christian faith. "The elaboration of religious themes, the cry to God, in addition to bringing spiritual peace to the deeply believing poet, at the same time he promoted the ideas of Christianity among the people and

strengthened the religious faith.

King Vakhtang VI not only enriched the Georgian literature with his original works, but also greatly contributed to his translation activities. His role in the development of lexicography was also great.

The genius of Vakhtang VI can be discussed endlessly. It means a lot even to the fact that the history has survived in the name of the "lawgiver" king.

**Keywords:** King, Rustvelologist, Vakhtang VI, Christian theme, legislator.